№24-20

26 იანვარი 2024 წ.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბ-ნ დიმიტრი ზურაბიშვილს

<u>თქვენი მ.წ.</u> 25/01/2024 <u># </u>34-3424025148 <u> წერილის პასუხად,</u>

გიდასტურებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფელ წეროვანში მდებარე 452 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე გადის შპს „ფოპტნეტის“ სახელმწიფოთაშორისო მნიშვნელობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური კაბელი.
აღნიშნული მიწის ნაკვეთის პრივატიზების წინააღმდეგი არ ვართ, თუ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 4 ივლისის # 134 დადგენილების საფუძველზე, ოპტიკური კაბელის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის დაცული იქნება შემდეგი პირობები:

- მიწის მომავალ მეპატრონეს აუცილებელია პირობაში ჩაედოს, რომ ოპტიკური კაბელის დაცვის ზონაში (საკაბელო ხაზის გასწვრივ მისი ღერძიდან ორივე მხარეს 2-2 მეტრ მიწის ზოლზე}, შპს „ფოპტნეტის“ წერილობითი თანხმობის გარეშე ეკრძალება ნებისმირი სახის მიწის სათხრელი სამუშაოები. ამავე ზოლზე საერთოდ იკრძალება ასაფეთქებელი სამუშაოები და მრავალწლიანი მცენარეების და ხეების დარგვა, ცხოველების სადგომის, საკვების და სასუქების საწყობების მოწყობა.
- აღნიშნულ ნაკვეთზე ნებისმიერი სახის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები აუცილებელია წერილობითი მომართვის შემდეგ, შეთანხმდეს ჩვენთან და განხორციელდეს ჩვენს მიერ გაცემული ტექნიკური პირობების დაცვით, მშენებლობის დამკვეთის ხარჯზე.
- მას შემდეგ, რაც განხორციელდება ხსენებული ნაკვეთის განკარგვა, მოქ. ირაკლი ისელიძეს დადგენილი წესით გადავცემთ აუცილებელ დოკუმენტაციას, რომელშიც გათვალისწინებულია კაბელის უსაფრთხოების დაცვის ზომები და მის დაცვის ზონაში მიწის სამუშაოების პირობები.

ჩვენი წარმომადგენლის საკონტაქტო ტელეფონია 577-40-68-79 ბულაური ვაჟა

<u>დანართი:</u> ორთოფოტოზე დატანილი შპს ფოპტნეტის ოპტიკური კაბელი
პატივისცემით,

უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ლევან კიკნაძე

შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი
პოლიტკოვსკაიას ქ. #42; 0186 თბილისი, საქართველო
ს/კ 204 892 330

FIBER-OPTIC TELECOMMUNICATION NETWORK - FOPTNET LTD
42, Politkovskaia st. 0186 Tbilisi, Georgia
ID 204 892 330

(+032) 2779589 office@foptnet.ge foptnet.ge